„თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა გახარია

წევრი:

თამარ დვალიშვილი

თბილისი, 2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

PDF Eraser Free

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „აისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 9 ივნისის MES 9 20 00449984 ბრძანების საფუძველზე, 2020 წლის 1 ივლისს, სსიპ - კოლეჯ „აისში“, ახმეტის მუნიციპალიტეტ სოფელ ქვემო ალვანში განხორციელდა ვიზიტი - „მხატვრული ქსოვილების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტების ჯგუფის მიერ მოხდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლა და შედგენილ იქნა ვიზიტის დღის წესრიგი.

ვიზიტის დასაწყისში მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრა. დაწესებულების მიერ ეტაპობრივად წარმოდგენილი იქნა დღის საჭირო/მოთხოვნილი დოკუმენტები. რეგულაციების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხების დაზუსტებისა და ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ექპერტებმა ჩაატარეს შესაბამისი პირების ინტერვიურება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების შემდეგ წარმომადგენლებს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, ასევე პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები.

ექსპერტებმა დაათვალიერეს პროგრამის განხორციელებისთვის სასწავლო პროცესის წარმართვისთვის მოწყობილი აუდიტორიები, რომლებიც შემოწმდა საჭირო ინვენტარისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიხედვით. ასევე ბიბლიოთეკა, სადაც გადმოწმდა პროგრამის შემადგენელი მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსის არსებობა.
ექსპერტების ჯგუფმა იმოქმედა დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ვიზიტის ფარგლებში მოგროვებული მიგნებები და გააცნეს რეკომენდაციები. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების შეუფერხებელ მუშაობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

PDF Eraser Free

არ გამოვლენილა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

დაწესებულებაში განხორციელებული ბოლო ვიზიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციების გაცნობის შესაბამისად მოკვლეული იქნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც:

რეკომენდაცია „2.2.1 ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლების პრაქტიკული კუთხით (ახალი ინვენტარის და ხელსაწყოების ინსტრუქციებზე, პრაქტიკული დავალებების შინაარსზე, მოდულური პროგრამების პრაქტიკული ნაწილის მნიშვნელობაზე და ა. შ.) ტრენინგების შესახებ, სპეციალობასა და პროგრამაში ინტეგრირებულ მოდულებს შორის ურთიერთკავშირის დანახვისა და გაანალიზების აუცილებლობა“ - დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით შედგა საკონსულტაციო შეხვედრა და დაიგეგმა შიდა ტრენინგების ჩატარება: კოლეჯის დედოფლისწყაროს ფილიალში 2016-2019 წლებში „მეცხოველეობის (მესაქონლეობა)“ ინტეგრირებულ პროგრამის პილოტირებაში მონაწილეობის შედეგად გამოცდილი მასწავლებლების (რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისი უწყების მიერ ჩატარებული საჩვენებელი ტრენიგნები) მიერ ლაგოდეხისა და კაჭრეთის პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება. შესაბამისი აქტივობა დატანილია 2020 სამოქმედო გეგმაში ივლისი-დეკემბერის პერიოდში.

რეკომენდაცია 2.3.1 პროგრამის განვითარების მიზნებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გადახედვის შესახებ - საგანმანათლებლო პროგრამაზე კვლევის ანგარიშების წარმოების შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების პროცედურის თაობაზე ნაწილობრივ გათვალისწინებულია. გაცემული რეკომენდაციიდან რეგულაცია არ ითვალისწინებს პროგრამაში განხორციელების ფორმის, სწავლის შედეგების, სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შესახებ საკითხებს, თუმცა თემა გარკვეულწილად დაფარულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-4 მუხლით - „მოდულის შემუშავების წესი“. პროგრამაში შეტანილი ცვლილებების გავრცელებასთან დაკავშირებით ზემოთხსენებული წესის მე-8 მუხლით განმარტებულია, რომ „პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად“. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ინფორმაცია აისახება ვებგვერდზე. სასურველია ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციები ადაპტირდეს და ჩამოყალიბდეს რეგულაციად.

2.4.1 სტუდენტის კვირეულ დატვირთვის შესახებ გათვალისწინებულია. კერძოდ, ქვედა ზღვარი დაყვანილია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობაზე - 25 საათი.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და „ცალკე მარეგულირებელი“ დოკუმენტის კონსოლიდირების შესახებ რეკომენდაცია გათვალისწინებულია - გაუქმებულია ორივე დოკუმენტი და დამტკიცებულია ახალი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების მინიმალური კვოტის განსაზღვრის თაობაზე რეკომენდაცია გათვალისწინებულია - ნაცვლად 10%-სა მითითებულია 15%.

2.4.2 რეკომენდაცია შეფასების სისტემის თაობაზე უმეტესად გათვალისწინებულია - შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტების ინფორმირების საკითხები, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის შესახებ, შეფასების ინსტრუმენტის შექმნის, შექმნის ვადების და განმეორებითი შეფასების შემთხვევაში ინსტრუმენტის გამოყენების, მტკიცებულებების შენახვის საკითხი. თუმცა რეგულაციაში არ იკითხება ინფორმაცია თუ რა ვადებში ხდება ნამუშევრების გასწორება და შეფასება, როდის და როგორ ხდება ინსტრუმენტების გადამოწმება, რამდენი ხნით ადრე იგებს სტუდენტი შეფასების შესახებ, როდის ეცნობა შეფასების სქემას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

<u>შესაბამისობის რეკომენდაცია</u>

2.3.1 (1-ლი და ნაწილობრივ მე-2 ინდიკატორები)

<u>„ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ დოკუმენტის დეტალური შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ დოკუმენტი გაწერილი ეტაპების მიხედვით საჭიროებს გადახედვას/გადაწყობას შინაარსობრივ ნაწილში (მოხდეს ეტაპებს შორის საკითხების აზრობრივად გადაწყობა ეტაპების დასახელებასთან შინაარსით ყველაზე მჭიდრო კავშირების მიხედვით). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განახლების მიზნით დაწესებულებას ესაჭიროება ხედვის ჩამოყალიბება თუ რას მოიაზრებს ხარისხის მართვის საქმიანობის ქვეშ: რას ემსახურება დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ეტაპები. ასევე მოხდეს კითხვარების დოკუმენტთან ან განცალკევებით დამტკიცება, დოკუმენტში მოცემული შეფასების/შემოწმების კრიტერიუმების ფორმის შემუშავება ან მათთვის ჩამონათვალის სახის მიცემა შემდგომში ფორმირებისთვის. აუცილებელია დოკუმენტის სტილისტურად გამართვა. ზემოაღნიშნულის საფუძვლიანი გააზრებით საჭიროა შემუშავდეს დოკუმენტი, რომელიც შეასრულებს სახელმძღვანელოს როლს ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელი სხვა პირებისთვის. თუმცა კოლეჯს აღნიშნული მიმართულებით შესაბამისობის გეგმა არ წარმოუდგენია, გასაუბრებისა და ვიზიტის შეჯამების დროს, დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გამოითქვა დოკუმენტის, შესაბამისი თანამშრომლების ჩართულობით, გადამუშავების სრული მზაობა, რაც ექსპერტების შეფასებით შესაძლებელია განხორციელდეს 6 თვემდე ვადაში. შესაბამისად, მითითებული ინდიკატორ/ებ/ი შეფასდა სტანდარტის მოთხოვნებთან მეტწილ შესაბამისობის სახით.</u>

<u>გაუმჯობესების რეკომენდაცია</u>

2.1.1 (მე-3 ინდიკატორი)

ექსპერტების შეფასებით, სასწავლო გარემოს დათვალიერების და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი პროგრამისთვის პროფესიული სტუდენტების ზღვრულ ოდენობას რეალურად განსაზღვრავს გონივრულად, არსებული რესურსების გათვალისწინებით. თუმცა, გავრცელებული მიდგომის მკაფიოდ აღსაწერად საჭიროა მეთოდოლოგიის დოკუმენტის დახვეწა. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგნელებს განუმარტეს, რომ დასაზუსტებელია პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა ასპექტებიდან საკვანძო და პრაქტიკულად გამოყენებული კრიტერიუმების გამოკვეთის მექანიზმი და რომ დაწესებულების საერთო კვოტა არ საჭიროებს ცალკე დაანგარიშებას, ვინაიდან ის წარმოადგენს განხორციელებად პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობების ჯამს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2.2.1 (მე-2 ინტიკატორი)

PDF Eraser Free

განმახორციელებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით უმჯობესია შემუშავდეს ერთგვაროვანი მიდგომა: ხელშეკრულების საგანში მიეთითოს მოდულების დასახელება (ამ ეტაპზე ნაწილ შემთხვევეაში ხელშეკრულებაშია მითითებული, ნაწილი კი დირექტრის ბრძანებით არის განსაზღვრული), დაემატოს პუნქტი შრომის კოდექსით გათვალისწინებული შვებულების საკითხის დაფარვის მიზნით (მოიცავს შინაგანაწესი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს), მიეთითოს შრომის კოდექსით დარეგულირებული სამუშაო საათების მაქსიმალური დატვირთვა და დაზუსტდეს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაო შესრულების შემთხვევაში ანაზღაურების პირობების შესახებ. ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმსაზღვრელ პუნქტს სასურველია დაემატოს ჩანაწერი „პროგრამის ავტორიზების შემთხვევაში“. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადახედილი იქნეს „სამუშაოს შეთავსების შესახებ“ ბრძანების საჭიროება.

2.4.2 (1-ლი ინდიკატორი)

აუცილებელია განმახორციელებლებს განესაზღვროთ პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების უწყისში დაფიქსირების ვადა, მომდევნო პროცესებისთვის განსაზღვრული ვადების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, დაზუსტდეს სტუდენტის მიერ შეფასებაზე გამოცხადებით გამოცდის ჩატარების წესების ცოდნის დადასტურების საკითხი - ვის მიერ და როდის ხდება პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების ინსტრუმენტის გაცნობა. უმჯობესია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 29-ე მუხლის 29.1. პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტებისთვის შედეგების გაცნობის ალტერნატიული ფორმის შესახებ შეფასების ინსტრუმენტის ფორმას დაემატოს შესაბამისი ინფორმაციის ასახვის ველი.

2.4.2 (მე-2 ინდიკატორი)

ვერიფიკაციის ჯგუფის სავარაუდო შემადგენლობაში მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც აღნიშნული ფუნქცია ასევე განსაზღვრული აქვს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შეთანხმების წერილით, ამავე შეთანხმების ფარგლებში ხელმძღვანელს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. აქედან გამომდინარე, საჭიროა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული „შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია“ ითვალისწინებდეს ჩანაწერს პროგრამის ხელმძღვანელის ვერიფიკაციის ჯგუფში იმ საკითხებზე/იმ შემთხვევაში ჩართვის შესახებ, რომელიც არ გააჩენს შეკითხვებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევის შესახებ.

2.4.2 (მე-4 ინდიკატორი)

სასურველია რაიმე რეგულაცია მოიცავდეს ჩანაწერს განმავითარებელი შეფასების ჩატარების აუცილებლობის შესახებ და მასწავლებლის ფუნქციების ჩამონათვალის *„პროფესიულ სტუდენტების შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად“* სწავლებასთან ერთად მიეთითოს მათი შეფასების ვალდებულება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	„თექის დამზადება“
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	„საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თექის დამზადებაში“/ Basic Vocational Qualification in Felt Preparation
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2020 წლის 29 მაისის N02-01-111 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ალვანი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ალვანი მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**
2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**
3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**
4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**
5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**
6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

PDF Eraser Free

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის განაცხადის მიხედვით, სსიპ კოლეჯ „აისის“ გადაწყვეტილება „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეყრდნობა 2020 წლის მარტი-აპრილში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის მიერ ჩატარებულ კვლევას, რომლის მიხედვითაც არ იკვეთება აღნიშნული პროგრამის აქტუალურობა. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ „თექის დამზადების“ პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა გამომდინარეობს დაწესებულებაში აღნიშნული მიმართულებითი როგორც საგნობრივი, ასევე მოგვიანებით მოდულური „თექის ოსტატის“ პროგრამის განხორციელების გამოცდილებიდან. დაწესებულებამ წარმოადგინა 2019 წლის კვლევა კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ, სადაც გამოკვეთილია შემდეგი: ალვანისა და დედოფლისწყაროს ორ ჯგუფში ჩარიცხული 29 პროფესიული სტუდენტიდან სწავლა დაასრულა 27-მა, მათგან დასაქმებულია 81% სპეციალობით, მათ შორის 68% თვითდასაქმებული. ასევე, კოლეჯის ადგილმდებარეობა, რეგიონის გათვალისწინებით, ცხადყოფს, რომ „თექის დამზადების“ პროგრამის დამატება სრულიად ლოგიკურია, რადგან ხალხური რეწვის ეს მიმართულება რეგიონისთვის ისტორიულად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

   კოლეჯის მისიაა: *„უმაღლესი პროფესიული სტანდარტების დანერგვისა და სტუდენტების/მსმენელების ინტერესების პრიორიტეტიზაციის გზით, შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებებით, ახალი იდეებითა და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეძლებენ თვითრეალიზაციას, შემოქმედებითად მიუდგებიან ქვეყნის ეკონომიკურ თუ გლობალურ გამოწვევებს და ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს.“*

   კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოსთან 2020 წლის 25 მაისის N3 ოქმით შეთანხმებული და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N02-01-101 ბრძანებით დამტკიცებული 2020-2026 წლების „სტრატეგიული განვითარების გეგმის“ მიზანი I მოიაზრებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას.

   დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-2 და მე-3 მუხლები აღწერენ პროგრამის დამატების და შემუშავების პროცედურების, რომლის თანახმადაც პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ მზადდება ინიციატივა კოლეჯში ახალი პროგრამების შემუშავების და განხორციელების თაობაზე, დირექტორი განიხილავს და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი იწყებს პროგრამის შემუშავებას. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის ქვემოთ მოცემული პუნქტების შესაბამისად:

   2.4 სამუშაო ჯგუფი მიერ მომზადებული პროგრამა ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს;

   2.5 სამუშაო ჯგუფის კოორდინაციაზე და პროგრამების შემუშავების ხარისხზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც პროფესიულ მასწავლებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე ამზადებს პროგრამას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ექსპერტებმა ეჭვქვეშ დააყენეს რეგულაციის მე-2 მუხლის 2.4 და 2.5 ქვეპუნქტების შესაბამისობა მე-4 სტანდარტთან (4.1.1.3 ინდიკატორი) და ზემოაღნიშნულ პროცედურაში ხარისხის მართვის მენეჯერის მნიშვნელოვანი ჩართულობის გამო, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ დასვეს საკითხი, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მითითებული პუნქტები მოქმედებდა რეგულაციის განახლებამდე და მისი წინამდებარე ვერსიაში არსებობა წარმოადგენს ტექნიკურ უზუსტობას. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ დღის ბოლოს წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისის N02-01-133 ბრძანებით დამტკიცებული განახლებული წესი, სადაც ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევი პუნქტები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„2.4.სამუშაო ჯგუფს კონსულტაციებს უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისობის მიზნით;
2.5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, სახელმწიფო ენაში მომზადების და/ან მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამებს, ასევე მოკლევადიან სასწავლო ტრენინგ - კურსებს, ამტკიცებს დირექტორი მის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.“

ზემოხსენებული მიზნებისთვის დაწესებულებამ ასევე 2020 წლის 1 ივლისის N 02-01-132 ბრძანებით ცვლილება შეიტანა 2019 წლის 23 ივლისის N02-01-36 ბრძანებით დამტკიცებულ „თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტში და აღმოფხვრა პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტის არსებობა ხარისხის მართვის მენეჯერის მოვალეობებში - პროგრამების შედგენის ვალდებულების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით, ექსპერტების შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ დასაბუთებულია და შეესაბამება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ წინაპირობასთან და გულისხმობს საბაზო განათლებას პროგრამის აღნიშნულ ველში კოლეჯის მიერ დამატებით ასევე დაზუსტებულია წინაპირობად „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება“.

   საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის უფლების მოპოვების, პროგრამაზე მიღების გამოცხადების, აპლიკანტის კონსულტირებისა და რეგისტრაციის, ასევე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხისა და ხელშეკრულების გაფორმების საკითხები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N02-01-109 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ III თავში.

   ექსპერტებმა განუმარტეს დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ საჭიროა გადაიხედოს ზემოაღნიშნული რეგულაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებაში (ბრძანება N59/ნ - 28.05.2020) შესულ ბოლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. რასთან დაკავშირებითაც, დაწესებულებამ დღის ბოლოს წარმოადგინა დირექტორის 2020 წლის 1 ვილისის N02-01-133 ბრძანებით დამტკიცებული განახლებული წესი, სადაც გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული რეგულაციის ცვლილებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროგრამის და წარმოდგენილი დოკუმენტის გათვალისწინებით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. 2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-119 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვითაც კოლეჯი მხედველობაში იღებს სხვადასხვა მონაცემებს, მათ შორის:

1. პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას“

6.1. A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
6.2. B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

1.1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - აპლიკანტთა რეგისტრაციის რაოდენობის შესახებ;
1.2. კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილი და დასაქმება;
1.3. სტატისტიკური მონაცემები დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით და მზარდი ტენდენციები;
1.4. შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა კონკრეტული მოთხოვნები.“

„2.1. პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი (აქტიური სტატუსის მქონე, მათ შორის, სტატუსშეჩერებული) და შესაბამისი წლის დამამთავრებელი, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი წლისათვის გამოცხადებული მისაღები ადგილების რაოდენობის შესაბამისად;
2.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
2.3. IT პროგრამებში B სასწავლო გარემო წარმოადგენს C გარემოს;
2.4. კოლეჯის მიერ სტუდენტთა კვოტა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით
„ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემო;
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.“

„პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის და პროგრამებზე ჩასარიცხ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთების“ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით კოლეჯს „თექის დამზადების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ზღვრული ოდენობა გამოანგარიშებული აქვს, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მისამართების მიხედვით ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვემო ალვანისთვის შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს:

„ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა
ბ) ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსი
გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა და პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ საწარმოსთან/საწარმოებთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა და სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობის მომსახურების შესაძლებლობები.“

ექსპერტების შეფასებით, სასწავლო გარემოს დათვალიერების და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი პროგრამისთვის პროფესიული სტუდენტების ზღვრულ ოდენობას რეალურად განსაზღვრავს გონივრულად, არსებული რესურსების გათვალისწინებით. თუმცა, გავრცელებული მიდგომის მკაფიოდ აღსაწერად საჭიროა მეთოდოლოგიის დოკუმენტის დახვეწა. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგნელებს განუმარტეს, რომ დასაზუსტებელია პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა ასპექტებიდან საკვანძო და პრაქტიკულად გამოყენებული კრიტერიუმების გამოკვეთის მექანიზმი და რომ დაწესებულების საერთო კვოტა არ საჭიროებს ცალკე დაანგარიშებას, ვინაიდან ის წარმოადგენს განხორციელებად პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობების ჯამს.

4. „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის შესახებ ჩანაწერები იდენტურია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სარეკომენდაციო ჩამონათვალისა, ხოლო სასწავლო რესურსი ნაწილობრივ ჩანაცვლებულია მოდულის შინაარსის გათვალისწინებით (მაგ. „ინტერპერსონალური კომუნიკაციის“ მოდულიდან ამოღებულია რუსულენოვანი სასწავლო რესურსი, „რაოდენობრივი წიგნიერების“ მოდულში ჩანაცვლებულია რესურსი და შეტანილია შედარებით ახალი სახელმძღვანელო, „ქვილთი - ქსოვილის მხატვრული დაგვირისტება 2“ მოდულის შემთხვევაში დამატებულია თემატიკის შესაბამისი სახელმძღვანელოები).

აღსანიშნავია, რომ სასწავლო რესურსისთვის განკუთვნილი ერთ-ერთი სახელმძღვანელო - „მატყლისა და თექის დამზადების ტექნოლოგიები“ 2015 წ. შედგენილია პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, როგროც მატერიალური, ასევე საგანმანათლებლო უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 29 მაისის N02-01-111 ბრძანებით, რომელსაც აღნიშული უფლებამოსილება განსაზღვრული აქვს დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 26-ე მუხლის 26.1 პუნქტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

შესაბამისად, ექსპერტების შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯში აღნიშნულზე უფლებამოსილი პირის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდებაა „თექის დამზადება“, რომელიც შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, არ არის შეცდომაში შემყვანი და თანხვედრაშია „მხატვრული ქსოვილების“ 02126-პ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ ერთ-ერთ კვალიფიკაციასთან -„საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თექის დამზადებაში“.

შესაბამისად, ექსპერტების შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. წარმოდგენილ „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (მათ შორის ქარული ენა A2) და სასწავლო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, სწავლების მეთოდოლოგია, ასევე პროგრამის მოცულობა იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია 75 კრედიტის ოდენობით, 13,5 თვე სავარაუდო ხანგრძლივობა, ხოლო იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია - 90 კრედიტი, 16 თვე.

ექსპერტების შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2020 წლის მარტი-აპრილში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის მიერ ჩატარებულ კვლევის დოკუმენტი;
2. 2020 წლის 25 მაისის N02-01-101 ბრძანებით დამტკიცებული 2020-2026 წლების „სტრატეგიული განვითარების გეგმა“;
3. დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“'
5. 2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-119 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
6. კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 29 მაისის N 02-01-111 ბრძანებით დამტკიცებული „თექის დამზადება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
7. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისის N02-01-132 ბრძანებაში „თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ ცვლილების შესახებ;
8. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისის N N02-01-133
9. ვიზუალური დათვალიერება;
10. ინტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**
2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**
3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**
4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**
5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**
6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**
7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „თექის დამზადების“ პროგრამის მატერიალური რესურსით გათვალისწინებული განაცხადით წარმოდგენილ ჩამონათვალში შეტანილი „თერმოპრესი“ (ჩამონათვალში N42) და „საოჯახო ტიპის საშრობი“ (ჩამონათვალში N27) არ მოიძებნა კოლეჯში. იმის გათვალისწინებით, რომ „საოჯახო ტიპის საშრობი“ ფუნქციონალურად სრულად ჩანაცვლებადია „საყოფაცხოვრებო ტიპის საშრობით“ (ჩამონათვალში N26), ხოლო „თერმოპრესის“ ფუნქციას ასრულებს ორთქლის უთო გამწოვი მაგიდით (ჩამონათვალში N59), ექსპერტებმა ხსენებული გარემოება პროგრამის განხორციელებისთვის საფრთხის შემცველად არ მიიჩნიეს.

   აღსანიშნავია, რომ დამატებით პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შექმნილია მატყლის სათელი დოლურებიანი მექანიზირებული ხელსაწყო-დანადგარი, რომელიც მატყლის თელვის პროცესს ხდის თანამედროვეს და ზრდის მის წარმადობას.

   პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, A, B და C გარემოს აუდიტორიებში არსებული შესაბამისი ინვენტარისა და აღჭურვილობის გათვალისწინებით ერთ ჯერზე პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაზე - 15. რაც რესურსის ათვისების და მიღებების გათვალისწინების შედეგად ჯამში შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს.

PDF Eraser Free

შესაბამისად, ექსპერტების შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. „თექის დამზადების“ პროგრამა მოიცავს 5 პროფესიულ, 7 საერთო პროფესიულ და 7 ზოგად მოდულს. პროგრამისთვის განსზღვრულია 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი, 3 პროფესიული მოდულების, 2 ზოგადი მოდულების, 2 ზოგადი და პროფესიული მოდულების განხორციელების მიზნებისთვის. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელის მიხედვით განსაზღვრულია კონკრეტული მოდულ/ებ/ის ფარგლებში მხარეთა ვალდებულებები და დასაქმებულის უფლებამოსილება, მითითებულია სამუშაო ადგილი, ასევე ანაზღაურება ან წარმოდგენილია ბრძანება მოდულების განხორციელების შეთავსების შესახებ მოდულების დასახელებითა და ანაზღაურების ოდენობის მითითებით. ხელშეკრულებების ნაწილი მოიცავს პროგრამების შემადგენელი მოდულების დასახელებას, ნაწილის შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია დატანილია „სამუშაოს შეთავსების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში.

განმახორციელებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით უმჯობესია შემუშავდეს ერთგვაროვანი მიდგომა: ხელშეკრულების საგანში მიეთითოს მოდულების დასახელება (ამ ეტაპზე ნაწილ შემთხვევაში ხელშეკრულებაშია მითითებული, ნაწილი კი დირექტრის ბრძანებით არის განსაზღვრული), დაემატოს პუნქტი შრომის კოდექსით გათვალისწინებული შვებულების საკითხის დაფარვის მიზნით (მოიცავს შინაგანაწესი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს), მიეთითოს შრომის კოდექსით დარეგულირებული სამუშაო საათების მაქსიმალური დატვირთვა და დაზუსტდეს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაო შესრულების შემთხვევაში ანაზღაურების პირობების შესახებ. ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმსაზღვრელ პუნქტს სასურველია დაემატოს ჩანაწერი „პროგრამის ავტორიზების შემთხვევაში“. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადახედილი იქნეს „სამუშაოს შეთავსების შესახებ“ ბრძანების საჭიროება.

ექსპერტების შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. 2019 წლის 23 ივლისის N02-01-36 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის „თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

„შესაბამისი უმაღლესი ან პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის განათლება ან დარგობრივი პროფილით მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება; ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა; პუნქტუალურობა; სახელმწიფო ენის ცოდნა“

ექსპერტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ჩანაწერი ატარებს „პროფესიული განათლების შესახებ“ მოქმედი კანონის წინამორბედი ვერსიის სახეს და დაწესებულებას ურჩიეს, მოქმედი კანონის მიერ მინიჭებული უფლების ფარგლებში, ჩამოაყალიბოს მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Erase Free

გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად განსაზღვროს მოთხოვნების დაკმაყოფილების შემოწმების მექანიზმები შეხედულებისამებრ, გამოცდილებაზე დაფრდნობით, აღნიშნული მიზნებისთვის დაწესებულებამ 2020 წლის 1 ივლისის N02-01-132 ბრძანებით ცვლილება შეიტანა 2019 წლის 23 ივლისის N02-01-36 ბრძანებით დამტკიცებულ „თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტში და მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრა შემდეგნაირად:

„შესაბამისი უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან დარგობრივი პროფილით მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება; სახელმწიფო ენის ცოდნა; დირექტორი უფლებამოსილია განსაზღვროს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.“

კოლეჯის განაცხადის დანართში მითითებული „თექის დამზადების“ პროგრამის მიზნებისთვის შერჩეული და დანიშნულია კვალიფიციური განმახორციელებლები. დანართით წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორე, შერჩეული პირების კომპეტენტურობა პროგრამით/მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავების მიზნებისთვის დასტურდება ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი პირადი საქმეებით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მასწავლებლებს გავლილი აქვთ როგორც სსიპ „მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ ორგანიზებული, ასევე შიდა რესურსებით ჩატარებული ტრენინგები. განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ შერჩეული პირები იცნობენ მოდულური პროგრამების მიდგომებს და აქვთ სწავლებისა და შეფასებისთვის საჭირო უნარები და გამოცდილება.

შესაბამისად, ექსპერტების შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. „თექის დამზადების“ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით დასტურდება მისი დარგობრივი კომპეტენცია და პოზიციაზე განსაზღვრის გონივრულობა. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-3 მუხლის 3.16. პუნქტის თანახმად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია პროგრამით და ის ცალკე ბრძანებით არ მტკიცდება“. ამგვარად, „თექის დამზადების“ პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს რამდენიმე პროფესიული 1 ზოგადი და 1 პროფესიული მოდულის განმახორციელებელს, განსაზღვრულია პოზიციაზე პროგრამის დამტკიცების აქტით დოკუმენტის თავფურცელზე მითითებით. ზემოაღნიშნული წესის მე-8 მუხლის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლება. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N02-01-108 ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, რომელიც გულისხმობს პროგრამის შემუშავებაში/განახლებაში მონაწილეობას, სასწავლო რესურსის განახლებაზე ზრუნვას, სასწავლო გეგმის სტრუქტურის აგებას, მატერიალური რესურსის განსაზღვრას და საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლების კონსულტირებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორცილების საკითხებში, ასევე ვერიფიკაციის პროცესში ჩართულობას. ჩამოთვლილი უფლება-მოვალეობები გაწერილია 2020 წლის 29 მაისს პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულ „შეთანხმების წერილში“.
პროგრამის ხელმძღვანელის ინტერვიურების შედეგად ცხადი ხდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის შემუშავებასა და განხორციელების დაგეგმვის პროცესებში.

ექსპერტების შეფასებით, კოლეჯს პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

5. „თექის დამზადების“ პროგრამის შემადგენელ მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის კოლეჯის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობა შერჩევითი წესით გადამოწმდა ექსპერტების მიერ. მოთხოვნილი სახელმძღვანელოები განლაგებულია ბიბლიოთეკის ოთახში განთავსებულ კარადაში და მოწესრიგებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკარის ფუნქცია კოლეჯის დირექტორის 2010 წლის 20 აგვისტოს N02-01-258 ბრძანების საფუძველზე, შეთავსებული აქვს ფილიალის მენეჯერს, რომლის განმარტებითაც ბიბლიოთეკაში არსებული რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.

შესაბამისად, ექსპერტების შეფასებით, დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა და სასწავლო პროცესში გამოყენების შესაძლებლობა.

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 31-ე მუხლით განსაზღვრულია *„სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“*. აღნიშნული მუხლის 31.9 პუნქტი ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენებისას, სსსმ სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში რიგი ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას მასწავლებლის მიერ: *„მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა“.*

პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის მოდიფიცირების/აკომოდირების უზრუნველყოფას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კოლეჯში დასაქმებული ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლების კონსულტირებას სასწავლო მასალის მომზადების მიზნებისთვის. კოლეჯს აქვს სსსმ პირების სწავლების გამოცდილება. ამჟამად კოლეჯში ირიცხება 20 სსსმ სტატუსი მქონე სტუდენტი, რომელთაც ემსახურება 3 ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და 1 ასისტენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, დასტურდება კოლეჯში სსსმ პირებისთვის პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ იმ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. განაცხადის შესაბამისი დანართით წარმოდგენილი „თექის დამზადების“ პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილია ვაუჩერული და პროგრამული (განაცხადში მოხსენიებული როგორც „სუბსიდია“) დაფინანსებით. პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 5 პროფესიულ სტუდენტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია კოლეჯის ფინანსური რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2020 წლის 28 მაისს კოლეჯის N02-01-110 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა;
2. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და შეთანხმების წერილები;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
4. 2019 წლის 23 ივლისის N02-01-36 ბრძანებით დამტკიცებული „თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
5. დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
6. კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 29 მაისის N02-01-111 ბრძანებით დამტკიცებული „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
7. 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
8. ვიზუალური დათვალიერება;
9. ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**
2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (ცვლილება 2020 წლის 29 მაისის N02-01-112 ბრძანებით), რომელიც სტრუქტურულად შედგება შესავალი ნაწილის და დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე ციკლის ეტაპებისგან.

   დოკუმენტის შესავალი ნაწილი ნარატივის სახით აყალიბებს შემდეგს: *„კოლეჯის საქმიანობის შესამოწმებელ ასპექტებს, შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს, ჩასატარებელი შემოწმების სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს შემმოწმებლ(ებ)ის კომპეტენციებს, უზრუნველყოფს შემოწმების ჩატარებას შემუშავებული გეგმისა და კრიტერიუმების შესაბამისად, აანალიზებს მიღებულ შედეგებს, განსაზღვრავს*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ხარვეზების წარმოქმნის მიზეზებს და აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. განსაზღვრავს გამოვლენილი სუსტი მხარეების სრულყოფისა და ძლიერი მხარეების შენარჩუნების მექანიზმებს. კონტროლს უწევს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას და მიღწეულ შედეგებს.“

ეტაპებად დაყოფილი დოკუმენტის პირველ **დაგეგმვის** ნაწილში შედის მაგალითად:

„1.1.დაწესებულების სამოქმედო გეგმაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებები, შესრულების შეფასების მტკიცებულებები და განმახორციელებლები;

1.3.სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების სასწავლო გეგმების საფუძველზე შემუშავებული კალენდარული გეგმების შესაბამისად, რომელსაც ითანხმებს სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.

1.5....ششش/ششش პირებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი არის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი;
1.6 .პარტნიორ დამსაქმებლებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და პრაქტიკის მენეჯერი...“

მეორე **განხორციელების** ნაწილში მოცემულია მაგალითად:
„2.1.შიდა მონიტორინგის ჯგუფის გეგმიური დასწრებით საგაკვეთილო პროცესზე, რომელიც ახდენს შედეგის ანალიზს გაკვეთილზე დასწრების კითხვარის გამოყენებით, ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერების ასისტენტები სისტემატურად ამოწმებენ სტუდენტთა დასწრებას და მასწავლებელთა აქტივობებს, რაც შემდგომში აისახება შესაბამის ოქმებში;
2.2.პროგრამის განმახორციელებელთა გამოკითხვა სასწავლო მოდულის მიმდინარეობის თაობაზე სპეციალური კითხვარის გამოყენებით სასწავლო მოდულების დასრულების შემდეგ;
2.7.პრაქტიკული სწავლების მაღალ დონეზე ორგანიზება სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით:
2.8.პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების, განსაკუთრებით წარმატებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა კარიერიერისა და პროფორიენტაციის დაგეგმვის მენეჯერის ჩართულობით.“

მესამე - **შემოწმების** ნაწილი მოიცავს მაგალითად:

„შემოწმების/შეფასების პროცესი მოიცავს მხარდაჭერის ჯგუფის გამართული მუშაობის მიზნით შესაბამისი კოლეჯის სტრუქტურული ერთეულებიდან აუცილებელი ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფას და მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის კონტროლს, სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემოწმდება: საგანმანათლებლო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი; აკადემიური/მოწვეული პერსონალი; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში და სხვ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები (მათი უმრავლესობა წარმოდგენილი იქნა დაწესებულების მიერ, თუმცა ჩამოთვლილი კითხვარები არ წარმოადგენს დოკუმენტის დანართებს, არ არის დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით/მხარდაჭერის ჯგუფის ან სხვა პირის/ორგანოს მიერ):

- *პროგრამის შეფასების კითხვარი*
- *სტუდენტის/მსმენელის კმაყოფილების კითხვარი*
- *კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კითხვარი*
- *დამსაქმებლის კმაყოფილების კითხვარი*
- *დამსაქმებლის საჭიროებათა კვლევის კითხვარი*
- *მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარი*
- *მასწავლებლის კმაყოფილების კითხვარი*
- *მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი*
- *მოდულური პროგრამების კითხვარი მასწავლებლებისთვის*
- *საგაკვეთილო პროცესზე დასწრების აქტი*

დოკუმენტით გათვალისწინებული კითხვარებიდან, პროგრამის განვითარების მიზნებისთვის მითითებულთაგან, ვერ მოიძებნა „პროგრამის შეფასების კითხვარი“, ხოლო „მოდულური პროგრამების კითხვარი მასწავლებლებისთვის“ ცენტრის მიერ შემოთავაზებული ვერსიაა (ჩნდება დაწესებულების მიერ კითხვარის ადაპტირების მოლოდინი).

ასევე ეტაპი მოიცავს შემდეგს: *„3.9 ხარისხის სამსახური სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებს სასწავლო პროგრამების მოდულების შეფასების (შემოწმების) უნიფიცირებულ ფორმასა და შეფასების კრიტერიუმებს. აღნიშნული ფორმის მიხედვით ახდენს სწავლის შედეგების დადასტურების მტკიცებულებების შემოწმებას“.*

მეოთხე **განვითარების** ეტაპის თანახმად, *„ხარისხის მართვის მენეჯერი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზებს და წარმოადგენს რეკომენდაციებს ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.*
4.1 ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები მასწავლებლებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით (ხარისხის მართვის მენეჯერი);
4.4. შიდა შეფასების მექანიზმის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები განსაზღვრულია თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით და სამოქმედო გეგმით“.

<u>„ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ დოკუმენტის დეტალური შესწავლის შედეგად დგინდება, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ეტაპების მიხედვით განაწილებული აქტივობები არ არის რელევანტური ეტაპისთვის და საჭიროებს გადახედვას/გადაწყობას შინაარსობრივ ნაწილში (მოხდეს ეტაპებს შორის საკითხების აზრობრივად გადაწყობა ეტაპების დასახელებასთან შინაარსით ყველაზე მჭიდრო კავშირების მიხედვით). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განახლების მიზნით დაწესებულებას ესაჭიროება ხედვის ჩამოყალიბება თუ რას მოიაზრებს ხარისხის მართვის საქმიანობის ქვეშ: რას ემსახურება დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ეტაპები. ასევე მოხდეს კითხვარების დოკუმენტთან ან განცალკევებით დამტკიცება, დოკუმენტში მოცემული შეფასების/შემოწმების კრიტერიუმების ფორმის შემუშავება ან მათთვის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

<u>ჩამონათვალის სახის მიცემა შემდგომში ფორმირებისთვის. აუცილებელია დოკუმენტის სტილისტურად გამართვა. ზემოაღნიშნულის საფუძვლიანი გააზრებით საჭიროა შემუშავდეს დოკუმენტი, რომელიც შეასრულებს სახელმძღვანელოს როლს ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელი სხვა პირებისთვის.</u>

2. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-8 მუხლი განსაზღვრავს პროგრამაში ცვლილებების შეტანის საკითხებს:
„8.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნის, ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
8.2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ჯგუფის წევრ(ებ)ს.
8.3. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობით სახით.
8.4. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
8.5. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს სამართლებრივი აქტის ამოქმედების ვადა და სასწავლო ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.
8.6. ცვლილების შემთხვევაში კორექტირებული მასალა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.“

ექსპერტების შეფასებით, კოლეჯს აქვს განსაზღვრული პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები, თუმცა შეფასების შედეგების გაანალიზების საკითხი დაკავშირებულია 2.3.1 პირველ ინდიკატორთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
2. დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. ინტერვიურება

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

PDF Eraser Free

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**
2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**
3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**
4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**
5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**
6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „თექის დამზადების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობ/ებ/ი და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-3 მუხლის 3.6 პუნქტის დაცვით, არ აღემატება 40 საათს დ არ არის 25 საათზე ნაკლები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სალექციო ცხრილი მზადდება სასწავლო გეგმის დაცვით.

   ექსპერტების შეფასებით, კოლეჯს გააჩნია პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად განხორციელების შესაძლებლობა.

2. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების, სასწავლო პროცესის ორგანიზების ნაწილში შემუშავებულია „პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კითხვარი“, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ლაბორატორიის აღჭურვა და ინტერნეტი, ინვენტარი, სასწავლო რესურსის მიწოდება და ბიბლიოთეკა, ფიზიკური გარემო. ასევე სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაციის შედეგად ადმინისტრაცია ღებულობს ინფორმაციას მათი ექსტრაკურიკულური აქტივობების მიმართ ინტერესების შესახებ, რის პასუხადაც აწყობს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს. მაგალითისთვის დაწესებულებამ ექსპერტებს მიუთითა ვებგვერდზე განთავსებული სიახლე ჩატარებული ღონისძიების შესახებ.

   ექსპერტების შეფასებით, კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესის პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ორგანიზების და შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების შესაძლებლობა.

3. პროგრამის შემადგენელი მოდულებით განსაზღვრული სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებთან. პროგრამის ხელმძღვანელისა და მასწავლებლების განმარტებით, სალექციო პროცესის წარმართვა დაგეგმილია დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების აქტიური გამოყენებით. დარგის განმახორციელებლები არიან პრაქტიკოსი სპეციალისტები.

   ექსპერტების შეფასებით, კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

4. კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ განმარტებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება, საჭიროების დადგომის შემთხვევები და ასევე მისი გამოყენების პრინციპები. სსსმ პირებისთვის, სასწავლო პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების მიზნით, გარე მობილობის დროს საჭიროების შემთხვევაში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში.

„25.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობების დადგენას არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს შორის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის ქმნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების შესაძლებლობას.
23.4.გარე მობილობის შემთხვევაში, კრედიტების აღიარების მიზნით, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან პროფესიულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ხდება სტუდენტის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარება და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.
25.5.შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
31.3. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას / მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.“

შესაბამისად, ექსპერტების შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება.

5. შპს მატყლის გადამამუშავებელი საწარმოსთან „თუშეთი“ 2020 წლის 20 მაისს გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია გაცნობითი პრაქტიკის ორგანიზება. პროგრამის სხვა პრაქტიკული კომპონენტი ობიექტზე განხორციელებას არ საჭიროებს.

კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით.

6. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბერის ბრძანებით დამტკიცებულია „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომლითაც უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის უსაფრთხო გარემოში წარმართვა. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამის ფარგლებში უსაფრთხოების დაცვის აუცილებელი პირობები განმარტებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სალექციო პროცესში, ხოლო უსაფრთხოების დაცვით საქმიანობა შეისწავლება პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების პარალელურად მოდულების სპეციფიკის და შინაარსის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში მიმდინარეობა, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილია ზოგადი რეგულაციით და მიიღწევა დარგის სპეციალისტების პროფესიონალური მიდგომებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 29 მაისის N 02-01-111 ბრძანებით დამტკიცებული „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
2. დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. შპს მატყლის გადამამუშავებელი საწარმოსთან „თუშეთი“ 2020 წლის 20 მაისს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება;
4. გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**
2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**
3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**
4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 28-ე მუხლი აღწერს სტუდენტის შეფასების სისტემას. კოლეჯში შემუშავებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, სწავლის შედეგ/ებ/ის მიღწევის შეფასების მიზნებისთვის კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტს, მოდულით გათვალისწინებული შეფასების მიმართულების მიხედვით, *30.1 შეიმუშავებს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი მოდულზე სწავლის დაწყებამდე 5 სამუშაო დღით ადრე* და შიდა მონიტორინგის მიზნებისთვის ათანხმებს სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან.

   „28.4.შეფასების პროცესზე/გამოცდაზე გამოცხადებით პრო.4.2ფესიული სტუდენტი ადასტურებს რომ ის იცნობს მისი ჩატარების წესებს“. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთხელ, რა დროსაც გამოიყენება პირველადისაგან შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროცესის მარეგულირებელი წესის“ 29-ე მუხლის 29.1. პუნქტის თანახმად: *„შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მასწავლებლის მიერ შესაბამისი უწყისის შევსებისთანავე, შედეგების გაცნობის ალტერნატიულ ფორმას არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებელი იმგვარად, რომ არ დაირღვეს თითოეული პროფესიული სტუდენტის უფლებები; ალტერნატიულ ფორმას პროფესიული განათლების მასწავლებელი ათანხმებს ჯგუფთან, რის თაობაზეც აკეთებს შესაბამის ჩანაწერს შეფასების ინსტრუმენტში“.*

28.8. მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 დღის ვადაში მოდულის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს დირექციას და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება არაუგვიანეს პროგრამის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, განმეორებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის არგამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად, ხოლო *28.6.თუ მოდული მოდულზე დაშვების წინაპირობაა პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები“*

შშმ და სსსმ პირები მოდულებზე დაიშვებიან წინაპირობ/ებ/ის დაძლევის გარეშე. დაუდასტურებლობით სტუდენტს ეზღუდება სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, რაც წარმოადგენს სტატუსის შეწყვეტის საფუძველს - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 21.2 პუნქტი „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების მიხედვით.

ამავე წესის 29-ე მუხლი განსაზღვრავს შეფასების გასაჩივრების წესს. *„29.2 სტუდენტის მიერ შეფასების შედეგის გასაჩივრების უფლება წარმოეშობა შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს. სტუდენტი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით, განცხადებით მიმართავს დირექტორს, რომელიც იმავე დღეს ქმნის სპეციალურ კომისიას, ხოლო კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 2 კალენდარულ დღეში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.“*

დაწესებულების წარმომადგენლების, მათ შორის მასწავლებლების ინტერვიურების შედეგად იკვეთება, რომ პროფესიული სტუდენტები შეფასების ინსტრუმენტს ეცნობიან შეფასების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე და დეტალურად ფლობენ ინფორმაციას შეფასების პირობების შესახებ.

საკითხის შესწავლის შედეგად ექსპერტები თვლიან, რომ უმჯობესია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 29-ე მუხლის 29.1. პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტებისთვის შედეგების გაცნობის ალტერნატიული ფორმის შესახებ შეფასების ინსტრუმენტის ფორმას დაემატოს შესაბამისი ინფორმაციის ასახვის ველი.

საჭიროა განმახორციელებლებს განესაზღვროთ პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების უწყისში დაფიქსირების ვადა, მომდევნო პროცესებისთვის განსაზღვრული ვადების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, დაზუსტდეს სტუდენტის მიერ შეფასებაზე გამოცხადებით გამოცდის ჩატარების წესების ცოდნის დადასტურების საკითხი - ვის მიერ და როდის ხდება პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების ინსტრუმენტის გაცნობა.

შეფასებასთან დაკავშირებით რეგულაციებში გაუთვალისწინებელი საკითხების არსებობის გამო, ექსპერტების შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებულია „შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია“, რომლითაც განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის სავარაუდო შემადგენლობა, ჯგუფის ფუნქციები, ვერიფიკაციის შერჩევის სტრატეგია. დოკუმენტი ითვალისწინებს ვერიფიკაციის 3 ეტაპს:
ეტაპი 1: შეფასებამდელი ეტაპი
ეტაპი 2: შეფასების პროცესი ეტაპი
ეტაპი 3: შეფასების დასრულების შემდეგ

სამივე ეტაპი გულისხმობს დოკუმენტირებას და რეგულაციას თან ერთვის შესაბამისი ფორმები: სწავლის შედეგის შეფასებამდე შესავსები ფორმა, შიდა შემმოწმებლის (ვერიფიკატორის) შეფასების პროცესის ფორმა, პროგრამის გუნდის შეხვედრის ჩანაწერი.

ვერიფიკაციის ჯგუფის სავარაუდო შემადგენლობაში მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც აღნიშნული ფუნქცია ასევე განსაზღვრული აქვს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შეთანხმების წერილით, ამავე შეთანხმების ფარგლებში ხელმძღვანელს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამის ხელმძღვანელის ვერიფიკაციის ჯგუფში მხოლოდ იმ საკითხებზეა ჩართვა ნავარაუდევი, რომელიც არ გააჩენს შეკითხვებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევის შესახებ. აქედან გამომდინარე, სასურველია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებულია „შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია“ ითვალისწინებდეს ჩანაწერს ზემოაღნიშნულის შესახებ.

ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში გათვალისწინებულია ვერიფიკაციის მექანიზმი.

3. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 30-ე მუხლით „შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შექმნა და შენახვის“ შესახებ განსაზღვრულია:

30.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა/ინახება სასწავლებელში, მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით;
30.3 დოკუმენტები, რომლებიც გამოირჩევა შესრულების ხარისხით და შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასწავლო ან სხვა მიზნებისათვის, შესაძლოა ინახებოდეს ბიბლიოთეკაში.“
30.5. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება კოლეჯში უვადოდ.

შემუშავებული რეგულაციის გათვალისწინებით, ექსპერტების შეფასებით, კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად ირკვევა, რომ განმახორციელებლები პროფესიულ სტუდენტებს სისტემატიურად აწვდიან უკუკავშირს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ფარგლებში სასწავლო პროცესში ნაჩვენები მიღწევებისა თუ ჩამორჩენის შესახებ, მუდმივად უწევენ კონსულტაციას მიღწევების გაუმჯობესების მიზნებისთვის და ცდილობენ მათ მოტივირებას.

სასურველია რაიმე რეგულაცია მოიცავდეს ჩანაწერს განმავითარებელი შეფასების ჩატარების აუცილებლობის შესახებ და მასწავლებლის ფუნქციების ჩამონათვალის *„პროფესიულ სტუდენტების შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად“* სწავლებასთან ერთად მიეთითოს მათი შეფასების ვალდებულება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით.

ინტერვიურების შედეგების გათვალისწინებით, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. ინტერვიურება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დასაბუთება

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

23.07.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: